CHCA

საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“
CHARITY HUMANITARIAN CENTRE “ABKHAZETI”

ივლისი
2017 / 5

# ბიულეტენი

**ცენტრი "აფხაზეთი" მუშაობს ოთხი პროგრამული მიმართულებით**

- საარსებო წყაროების უზრუნველყოფა და ეკონომიკური განვითარება
- თემის განვითარება და ადვოკატირება
- ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვა და განვითარება
- მშვიდობის მშენებლობა და ნდობის აღდგენა

## სოციალური ტრენინგების პირველი ეტაპი ყოფილი მსჯავრდებულებისა და პრობაციონერებისათვის გორსა და ქუთაისში დასრულდა

გვ. 2

## 20 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა და სათემო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა და გაძლიერდა

გვ. 3

## მცირე საოჯახო სახლებსა და მინდობით აღზრდაში მყოფმა მოზარდებმა სოციალური უნარებში ტრენინგების კურსი დაასრულეს

გვ. 4

ცენტრი “აფხაზეთი” გამოცდილებას უცხოელ კოლეგებს უზიარებს
გვ. 2

გორში მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა
გვ. 3

ესპანელი მოხალისე გორში ახალგაზრდებს შეხვდა
გვ. 4

# ქუთაისსა და გორში სოციალური უნარების ტრენინგების პირველი ეტაპი დასრულდა

ივლისში სოციალური უნარების ტრენინგების პირველი ეტაპი გორსა და ქუთაისში დასრულდა, რომელსაც 50-მდე ყოფილი მსჯავრდებული და პრობაციონერი დაესწრო. სოციალური უნარების ტრენინგი 4 ძირითად თემას მოიცავდა - ეფექტური კომუნიკაცია, კონფლიქტების მართვა, რეზიუმეს წერა და სამუშაოს მოძიება. მონაწილეები შემდგომ ეტაპზე, აგვისტოში, ბიზნეს ტრენინგებს გაივლიან და ბიზნეს წინადადებების შემუშავების შემდეგ შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ 1200 და 3000 ევროს მოცულობის გრანტები ბიზნესის დასაწყებად ან განსავითარებლად.

სექტემბერში პროექტში სამეგრელოსა და კახეთის რეგიონში მცხოვრები ყოფილი მსჯავრდებულები და პრობაციონერები ჩაერთვებიან.

ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice: მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა
ASB Arbeiter-Samariter-Bund

# ცენტრი "აფხაზეთი" გამოცდილებას უცხოელ კოლეგებს უზიარებს

27 ივლისს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ცენტრმა „აფხაზეთმა" უკრაინის, სომხეთის, საქართველოს და რუსეთის ჩრდიოლოეთ კავკასიის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს უმასპინძლა. ორგანიზაციამ სტუმრებს საკუთარი პროფესიული გამოცდილება გაუზიარა. სტუმართა ძირითად ინტერესს დევნილთა ინტეგრაცია და განსახლება, სახელმწიფოს მექანიზმები, ურთიერთობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საარსებო წყაროების საკითხები წარმოადგენდა.

უცხოური სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები საქართველოში იმყოფებოდნენ პროექტის "დავძლიოთ ომის შედეგები ერთად" ფარგლებში. პროექტი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ არის დაფინანსებული და საქართველოში მისი პარტნიორია ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი "სოხუმი".

## გორში მრჩეველთა საბჭოს სხდომა გაიმართა

25 ივლისს ქ. გორში მრჩეველთა საბჭოს რიგით მე-13 სხდომა გაიმართა, რომელსაც შიდა ქართლის გუბერნატორის პირველი მოადგილე, გორში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების, ადგილობრივი თვითმართველობისა და შიდა ქართლის სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები დაესწრნენ. მრჩეველთა საბჭოს წევრებმა სხდომაზე განიხილეს შემდეგი საკითხები - სოციალური მომსახურების სააგენტოში მიმდინარე ცვლილებები და ახალი პროგრამები; სოციალური სამსახურის პრიორიტეტები და 2018 წლის სოციალური სამსახურის ძირითადი მიმართულებები; ასევე, ორგანიზაცია PIN-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტების მიმდინარეობის პროცესი. მრჩეველთა საბჭოს მორიგი სხდომა სექტემბერში გაიმართება.

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union For Georgia

## საცხოვრისის საკითხებზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეხვედრა გაიმართა

25 ივლისს ცენტრი „აფხაზეთის“ ინიციატივით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეხვედრა გაიმართა. ორგანიზაციამ სამინისტროში საცხოვრისის სექტორის საკითხებზე შემუშავებული რეკომენდაციები წარადგინა, რომლის დახმარებითაც უნდა მოხდეს საბინაო სექტორის რეფორმების მხარდაჭერა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება საცხოვრისის სფეროში. რეკომენდაციების შემუშავება მოხდა პროექტის - „გზად საბინაო სექტორის რეფორმებისკენ: ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების პოტენციალის ამაღლება აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, უკრაინასა და საქართველოში“ ფარგლებში. პროექტი აღმოსავლეთ ევროპის ხუთ ქვეყანაში მიმდინარეობს გერმანული არასამთავრობო ორგანიზაციის „ინიციატივა აღმოსავლეთ ევროპაში“ (IWO) ხელმძღვანელობითა და ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით.
პროექტი 2015 წლიდან ხორციელდება და თბილისში მისი პარტნიორია საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“.

გორის, ქარელის, კასპის, მცხეთის, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში დევნილთა დასახლებებსა და კოლექტიურ ცენტრებში **20 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა და სათემო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა**, რომელთა აქტიური წევრები სხვადასხვა ტრენინგებით გაძლიერდნენ.

CISU CIVILSAMFUND I UDVIKLING
DRC DANISH REFUGEE COUNCIL

## სოციალური უნარების ტრენინგი მოზარდებისათვის

ივლისში დასრულდა სოციალური უნარების ტრენინგების პირველი ეტაპი თელავში, საგურამოსა და გორში, რომელიც 30-მდე მოზარდმა გაიარა. სოციალური უნარების ტრენინგი 8 ძირითად თემას მოიცავდა - ეფექტური კომუნიკაცია, კონფლიქტის მართვა, თვით ბრენდიგნი/პრეზენტაცია და სხვა. სოციალური ტრენინგების პირველი ეტაპის სამივე რეგიონის ბენეფიციარები სექტემბერში ერთად შეიკრიბებიან ერთდღიან ექსკურსიაზე, სადაც ერთამანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ, საერთო თემებს განიხილავენ და განვლილ თემებზე დაყრდნობით ინტელექტუალურ შეჯიბრებას მოაწყობენ.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union For Georgia

## ესპანელი მოხალისე გორში ახალგაზრდებს შეხვდა

26 ივლისს ცენტრი "აფხაზეთის" გორის ოფისში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც დაესწრნენ მოხალისეები კარალეთის, ხურვალეთის, თელიანის, ვერხვებისა და ქ. გორში მდებარე დევნილთა დასახლებებიდან. მოხალისეებთან შეხვედრის მიზანი ორგანიზაციის პროექტებისა და მოხალისეობრივი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახლდათ. ცენტრი „აფხაზეთის" ესპანელმა მოხალისემ, იგნასიო მარტინესმა, სტუმრებს მიაწოდა ინფორმაცია ზოგადად მოხალისეობრივ საქმიანობასა და საკუთარ გამოცდილებაზე. გარდა ამისა, ის ქართველ მოხალისეებს ესპანეთის კულტურასა და ისტორიაზეც ესაუბრა. მოხალისეები შეხვედრით კმაყოფილები დარჩნენ და პროექტის აქტივობებში აქტიურად ჩართვის სურვილი გამოთქვეს.

**ბაისუბნის (ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი) საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებმა საზაფხულო არდადეგები ყაზბეგში გაატარეს.**

10 მოზარდი და 3 აღმზრდელი 12 დღის მანძილზე ყაზბეგში ისვენებდა. სასიამოვნო დროის გატარებას თან ერთვოდა გასართობ-შემეცნებითი ღონისძიებები.
საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი" კახეთის რეგიონში საოჯახო ტიპის სამ სახლს მართავს, სადაც ამჟამად 30-მდე მოზარდი ცხოვრობს. ვარდისუბნისა და კურდღელაურის (თელავის მუნიციპალიტეტი) აღსაზრდელები აგვისტოში საზაფხულო არდადეგებს სვანეთში გაატარებენ.

საქართველო, თბილისი 0105,
თავისუფლების მოედანი #4ა, ბინა 12
ტელ.: +995 322 944 544
ელ.ფოსტა: communications@chca.org.ge

CHCAGeorgia
www.chca.org.ge